

შპს ოკეანე

**ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

**აგვისტო 2021
თბილისი**

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8
1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	8
2. შედგენის საფუძველი	8
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	10
4. ძირითადი საშუალებები	17
5. აქტივების გამოყენების უფლება	18
6. არამატერიალური აქტივები	19
7. მარაგები	19
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
9. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	20
10. კაპიტალი და რეზერვები	20
11. სესხები	20
12. იჯარა	20
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
14. შემოსავლები	22
15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22
16. ადმინისტრაციული ხარჯები	22
17. დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	22
18. ფინანსური ხარჯები	22
19. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	23
20. შემდგომი მოვლენები	23
21. მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები	23
22. ფინანსური ინსტრუმენტები	23
23. ფინანსური რისკის მართვა	24
24. კაპიტალის რისკის მართვა	26
25. გაუთვალისწინებელი გარემოებები	27
26. ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია	28
27. დაკავშირებული მხარეები	28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ოკეანეს“ დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ოკეანეს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლებთან. მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დამკვიდრების საფუძველზე იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს ასე მოქცევის გარდა სხვა რეალური არჩევანი.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიეთ თუ განზრახ დამკვიდრებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

ასს-თან შესაბამისად, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრების გამოთქმის საფუძვლისთვის საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე აზრს გამოვთქვამთ, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბებს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი

შპს „რასელ ბედფორდ ეივისის“ სახელით
თბილისი, საქართველო

2021 წლის 10 აგვისტო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ოკეანეს“ დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ოკეანეს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლებთან. მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს ასე მოქცევის გარდა სხვა რეალური არჩევანი.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგები მთლიანად თავისუფალია უნებლიეთ თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

ასს-თან შესაბამისად, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დამზებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრების გამოთქმის საფუძვლისთვის საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებების და მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე აზრს გამოვთქვამთ, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბებს და ვადებებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვაკვლენთ.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი

შპს „რასელ ბედფორდ ეივისის“ სახელით
თბილისი, საქართველო

2021 წლის 10 აგვისტო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრისთვის

აქტივები	შენ.	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	1-იან-2019
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	1,099,597	1,208,887	984,299
არამატერიალური აქტივები	6	7,129	7,970	9,028
აქტივების გამოყენების უფლება	5	507,944	436,675	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,614,670	1,653,532	993,327
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7	1,699,775	2,405,872	2,877,420
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,834,073	2,384,873	3,232,075
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	9	9,586	2,187	5,330
სულ მიმდინარე აქტივები		3,543,434	4,792,932	6,114,825
სულ აქტივები		5,158,104	6,446,464	7,108,152
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	821,410	781,832	56,665
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	12	401,876	362,562	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,223,286	1,144,394	56,665
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	669,184	861,136	2,445,171
მიმდინარე საიჯარო ვალდებულებები	12	161,943	108,271	-
მოკლევადიანი სესხები	11	3,247,991	3,652,878	4,069,894
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,079,118	4,622,285	6,515,065
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	307,200	307,200	307,200
აკუმულირებული მოგება	10	(451,500)	372,585	229,222
სულ კაპიტალი		(144,300)	679,785	536,422
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,158,104	6,446,464	7,108,152

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2021 წლის 10 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დავით გიგაია

ნინო მურადიშვილი

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

შპს ოკეანე

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრისთვის

აქტივები	შენ.	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	1-იან-2019
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	1,099,597	1,208,887	984,299
არამატერიალური აქტივები	6	7,129	7,970	9,028
აქტივების გამოყენების უფლება	5	507,944	436,675	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,614,670	1,653,532	993,327
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7	1,699,775	2,405,872	2,877,420
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,834,073	2,384,873	3,232,075
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	9	9,586	2,187	5,330
სულ მიმდინარე აქტივები		3,543,434	4,792,932	6,114,825
სულ აქტივები		5,158,104	6,446,464	7,108,152
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	821,410	781,832	56,665
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	12	401,876	362,562	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,223,286	1,144,394	56,665
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	669,184	861,136	2,445,171
მიმდინარე საიჯარო ვალდებულებები	12	161,943	108,271	-
მოკლევადიანი სესხები	11	3,247,991	3,652,878	4,069,894
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,079,118	4,622,285	6,515,065
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	10	307,200	307,200	307,200
აკუმულირებული მოგება	10	(451,500)	372,585	229,222
სულ კაპიტალი		(144,300)	679,785	536,422
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,158,104	6,446,464	7,108,152

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2021 წლის 10 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დავით გიგაია

ნინო მურადიშვილი

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენ.	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან	14	6,585	14,237
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	9,454,615	11,736,838
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	15	(7,946,799)	(9,530,803)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		1,514,401	2,220,272
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(1,223,836)	(1,226,077)
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	17	(217,940)	(304,199)
სხვა ხარჯები		(20,237)	(25,284)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		2,484	4,368
სულ საოპერაციო მოგება		54,872	669,080
ფინანსური ხარჯები	18	(481,063)	(426,208)
კურსთაშორისი მოგება/(ზარალი)	19	(405,796)	(99,321)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)		8,054	(21)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(823,933)	143,530
მოგების გადასახადის ხარჯი		(152)	(167)
წმინდა მოგება		(824,085)	143,363
სრული შემოსავალი / (ხარჯი)		(824,085)	143,363

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2021 წლის 10 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დავით გიგაია

ნინო მურადიშვილი

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

შპს ოკეანე

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	მენ.	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან	14	6,585	14,237
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	9,454,615	11,736,838
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	15	(7,946,799)	(9,530,803)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		1,514,401	2,220,272
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(1,223,836)	(1,226,077)
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	17	(217,940)	(304,199)
სხვა ხარჯები		(20,237)	(25,284)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		2,484	4,368
სულ საოპერაციო მოგება		54,872	669,080
ფინანსური ხარჯები	18	(481,063)	(426,208)
კურსთაშორისი მოგება/(ზარალი)	19	(405,796)	(99,321)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)		8,054	(21)
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე		(823,933)	143,530
მოგების გადასახადის ხარჯი		(152)	(167)
წმინდა მოგება		(824,085)	143,363
სრული შემოსავალი / (ხარჯი)		(824,085)	143,363

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამოწმებულია 2021 წლის 10 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

დავით გიგაია

დირექტორი



ნინო მურადიშვილი

ფინანსური მენეჯერი

Handwritten signature of Nino Muradishvili.

შპს ოქეანე**ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით****კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება****2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ
2019 წლის 1 იანვარი	307,200	229,222	536,422
წლის მოგება	-	143,363	143,363
სულ გაერთიანებული შემოსავალი	-	143,363	143,363
2019 წლის 31 დეკემბერი	307,200	372,585	679,785
წლის მოგება		(824,085)	(824,085)
სულ გაერთიანებული შემოსავალი	-	(824,085)	(824,085)
2020 წლის 31 დეკემბერი	307,200	(451,500)	(144,300)

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 9-29 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2020 წელი	2019 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		(824,085)	143,362
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		393,341	359,624
საექვო ვალუების ჩამოწერა		97,053	
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		(34,403)	(2,454)
საპროცენტო ხარჯი (სესხები)	18	424,492	371,031
მოგების გადასახადის ხარჯი/(დაბრუნება)		152	167
საპროცენტო ხარჯი (იჯარა)	18	68,451	55,177
(მოგება)/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	19	405,796	99,321
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		530,797	1,026,228
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		453,747	847,203
ცვლილება მარაგებში		706,097	471,548
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(317,682)	(1,039,120)
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან		1,372,959	1,305,859
გადახდილი პროცენტი (სესხები)		(427,858)	(345,737)
გადახდილი პროცენტი (იჯარა)		(56,553)	(55,177)
გადახდილი მოგების გადასახადი		(152)	-
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		888,396	904,945
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი სასუალებებისა და არმატურიალური აქტივების შეძენა		(170,113)	(1,033,444)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული		77,545	4,651
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(92,568)	(1,028,793)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		-	-
შემოსულობა სესხებიდან და საიჯარო ვალდებულებიდან	26	13,028,054	14,751,122
სესხებისა და საიჯარო ვალდებულების დაფარვა	26	(13,794,620)	(14,618,092)
საწესდებო კაპიტალში შენატანი		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(766,566)	133,030
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წმინდა კლება		29,262	9,182
უცხოური ვალუტის გავლენა ფულზე		(21,863)	(12,325)
ფულადი სახსრები ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში		2,187	5,330
ფულადი სახსრები ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს		9,586	2,187

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნას 9-29 გვერდებზე მოცემულ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ოკეანე” (კომპანია) დაარსდა 2008 წლის ივნისში და დაარსების დღიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, ერთ-ერთ მსხვილ წარმოებად მოიაზრება. კომპანია მომხმარებელს თევზეულის ყველაზე მრავალფეროვან ასორტიმენტს სთავაზობს ქართულ ბაზარზე.

შპს “ოკეანე”-ს 100%-ის წილის მფლობელი არის სააქართველოში დაფუძნებული და დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოება ნიკორა.

შპს ოკეანეს რეგისტრირებული მისამართი არის ქავთარაძის ქუჩა 11, თბილისი, საქართველო.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა 76 თანამშრომელს (2019: 82).

2020 წლის დასაწყისიდან ახალმა კორონავირუსმა (კოვიდ-19) დაიწყო სწრაფი გავრცელება მთელს მსოფლიოში, რამაც გამოიწვია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიის გამოცხადება 2020 წლის მარტის თვეში. მრავალმა ქვეყანამ შეიმუშავა პრევენციული ღონისძიება კოვიდ-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით, რამაც ხელი შეუშალა ბევრ კომპანიას ფუნქციონირებაში და ამას მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე. რადგან სიტუაცია სწრაფად ვითარდება, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეს მრავალი კომპანიის ბიზნესზე სხვადასხვა სექტორში, მათ შორის, შეუზღუდავად, ისეთი გავლენა, როგორიც არის ბიზნეს ოპერაციების ნგრევა წარმოების შეფერხების ან ობიექტების დახურვის, მიწოდების ქსელის რღვევის, პერსონალის კარანტინის რეჟიმში გადაყვანის, შემცირებული მოთხოვნის და ფინანსების მოზიდვასთან დაკავშირებული სირთულეების გამო. კომპანიამ შესაძლოა განიცადოს კოვიდ-19 ძლიერი გავლენა, გლობალურ ეკონომიკაზე და მთავარ ფინანსურ ბაზრებზე მისი ნეგატიური გავლენის გამო. კოვიდ-19-ის გავლენის მნიშვნელობა კომპანიის ოპერაციებზე დიდად არის დამოკიდებული პანდემიის ეფექტების ხანგრძლივობასა და გავრცელებაზე მსოფლიოსა და საქართველოს ეკონომიკაზე.

კორონავირუსით გამოწვეული ეკონომიკური შოკი და პანდემიის მომავალ განვითარებასთან და საქართველოს ეკონომიკაზე მის გავლენასთან დაკავშირებული მოლოდინები აისახა სავალუტო ბაზრის არასტაბილურობასა და სხვა ვალუტებთან მიმართებაში ქართული ლარის გაუფასურებაზე.

ხელმძღვანელობა ვერ იწინასწარმეტყველებს ყველა განვითარებას, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად რა ეფექტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ექნება მათ კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობის აზრით, ის ყველა საჭირო ღონისძიებას ატარებს კომპანიის ოპერაციების მდგრადობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

2. შედეგის საფუძველი

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად.

2019 წელს კომპანიამ მიიღო ახალი სახელმძღვანელო იჯარის აღიარების შესახებ (იხ. შენიშვნა 3.5). ახალი სტანდარტი გამოყენებულია რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, რომლის თანახმადაც, აკუმულირებული ეფექტი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღიარებულია, როგორც კორექტირება აკუმულირებულ შედეგებზე. შესაბამისად, კომპანიას არ აქვს ვალდებულება წარმოადგინოს ფინანსური მდგომარეობის სამი წლის შესადარისი ანგარიში.

2.2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასსს“-ები) და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების კონვენციის გათვალისწინებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

აღწერილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული (იხილეთ მე-5 შენიშვნა).

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-3 შენიშვნაში.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ოპერირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("GEL").

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაანგარიშება შესაბამის სამუშაო ვალუტაში ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსებით. საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი გარიგებების ანგარიშსწორებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციის შედეგად წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი, რომელიც ნასესხებ სახსრებს და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს უკავშირდება წარდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგების მუხლში „ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი“. საკურსო სხვაობიდან მიღებული ყველა სხვა შემოსულობა და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.4. შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 21-ე შენიშვნაში.

2.5. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის, თუმცა ცვლილებებმა არსებითი გავლენა არ იქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- შესწორებები ფასს (IFRS) 16-ში „უარყოფითი კომპენსაციის მქონე ვადამდელი დაფარვის ელემენტები იჯარის ხელშეკრულებებთან მიმართებაში, COVID-19-ის აფეთქებასთან დაკავშირებით“;
- შესწორებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში: „არსებითობის განსაზღვრება“;
- შესწორებები ფასს (IFRS) 3-ში: „ბიზნესის განსაზღვრება“;
- შესწორებები ფასს (IFRS) 7-ში, ფასს (IFRS) 9-სა და ბასს (IAS) 39-ში: „საბაზო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა“;
- 2018 წლის 29 მარტს გამოქვეყნებული შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე მითითებებში.

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოცემა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში:

- წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);

- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები)
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები)
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების კორექტირებები.

კომპანიამ გადაწყვიტა, ეს სტანდარტები არ მიეღო ნაადრევად.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1. ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

შენიშვნა 2.5-ში იხილეთ სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოცემული იყო, მაგრამ ჯერჯერობით არ იყო ეფექტური და არ გამოყენებულა ადრეულად კომპანიის მიერ.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელებიც გამოყენებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, წარმოდგენილია ქვემოთ.

3.2. უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით.

უცხოური ვალუტის ნაშთების კორექტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 20	31 დეკ 19	1 იან 19
1 USD/GEL	3.2766	2.8677	2.6727
1 EUR/GEL	4.0233	3.2095	3.0597

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3. ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, საქონლის მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით.

გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საკმარისი სიხშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულებით შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების

რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

სხვა ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. ფინანსური იჯარით აღებული შენობები ასევე ჩაირთვება ძირითად საშუალებებში. ასეთ აქტივებს ცვეთა ერიცხება მოსალოდნელ სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება- განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. კლიენტის სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გადახედვას ყოველი წლის ბოლოს. 2020 წლისთვის ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	- 4,5-5,7 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	- 5 წელი
ტრანსპორტი	- 4 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	- 4 წელი

3.4. არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ან ემატება სხვა აქტივის თვითღირებულებას წრფივი მეთოდით შესაბამისი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომლებიც განსაზღვრულია 5-7 წლით პროგრამების, უფლებებისა და სხვა აქტივებისთვის.

3.5. იჯარა

კომპანიამ გამოიყენა ფასს 16-ის მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომა, შესაბამისად, შესადარისი ინფორმაცია ხელახლა არ შეფასებულა. რაც გულისხმობს იმას, რომ შესადარისი ინფორმაცია კვლავ ბასს 17-ისა და ფასიკ 4 შესაბამისადაა წარდგენილი.

საადრიცხო პოლიტიკა, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან

კომპანია, როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი კონტრაქტისთვის, რომელიც გაფორმებულია 2019 წლის 1 იანვარს, ან მის შემდეგ, კომპანია განიხილავს არის თუ არა, ან შეიცავს, თუ არა ხელშეკრულება იჯარას. იჯარა განიხილება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ." ამ განმარტების თანახმად, კომპანია აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულება შემდეგ სამ მთავარ შეფასების კრიტერიუმს:

- შეიცავს თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებად აქტივს, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, ან არაპირდაპირი გზით ხდება აქტივის იდენტიფიცირება იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება კომპანიისათვის.
- აქვს თუ არა კომპანიას ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთელი სარგებლის მიღების უფლება გამოყენების პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში.
- აქვს თუ არა კომპანიას უფლება განსაზღვროს აქტივის გამოყენების წესი. განსაზღვროს აქვს თუ არა უფლება გადაწყვიტოს „როგორ და რა მიზნით“ გამოიყენოს აქტივი მთლიანი ფლობის პერიოდში.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის გასაწევ ხარჯებსა და იჯარის წამოწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია აქტივებისთვის, გამოყენების უფლებით, იყენებს ცეთის წრფივ მეთოდს იჯარის წამოწყების თარიღიდან, შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა აღვილად შეიძლება, ან გამოიყენოს კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, რომლებსაც თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ გამოიყენებენ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს პროცენტის ასახვით. შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების გადაფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე, ან მოგება/ზარალზე, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე.

კომპანიამ გადაწყვიტა აღრიცხოს მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე იჯარა პრაქტიკული ექსპედიციის გამოყენებით. აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება/ზარალში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გამოყენების უფლება წარმოდგენილია განცალკევებით, ვინაიდან საიჯარო ვალდებულებაც წარმოდგენილია ცალკე.

3.6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.7. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელმეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელმეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელმეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

გარდა იმ სავაჭრო მოთხოვნებისა, რომლებიც არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და ფასს 15-ის თანახმად აღიარებული არიან ტრანზაქციის ფასით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ფასდება, რომელიც ითვალისწინებს ტრანზაქციის დანახარჯებსაც (სადაც გამოყენებადია).

შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული, სამართლიანი ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით (FVOCI).
- კლასიფიკაცია განისაზღვრება ორივე შემდეგი საკითხის გათვალისწინების საფუძველზე:
 - ფინანსური აქტივების მართვისთვის კომპანიის მიერ გამოყენებული ბიზნეს მოდელი
- ფინანსური აქტივიდან, შესაბამისი ხელმეკრულების საფუძველზე, მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლები

ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა მოგება ან ზარალი, რომლებიც აღიარებულია მოგება-ზარალში, ჩართულია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ პუნქტებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში. კომპანიის ფინანსური აქტივები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL).

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;

- ფინანსური აქტივის სახელმწიფოებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება გამოტოვებულია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე ბირჟაზე დარეგისტრირებული ობლიგაციები, რომლებიც აქამდე დარეგისტრირებული იყო როგორც დაფარვის ვალდებულება (HTM) ბას 39-ის მიხედვით.

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL)

ფინანსური აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს სხვა ბიზნესში, გარდა აქტივებისა, რომლებიც "შეგროვების" ან "შეგროვების და გაყიდვის" მიზნებისთვისაა ფლობილი, აისახება მოგება/ზარალში რეალური ღირებულებით. განუჩივრებლად ბიზნეს მოდელისა, ფინანსური აქტივები, რომელთა სახელმწიფოებო ფულადი ნაკადები არ არის მხოლოდ ძირითადი და პროცენტის გადახდები, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (FVTPL). ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი მიეკუთვნება ამ კატეგორიას, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც გათვალისწინებულია და ეფექტურია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები, რომელთათვისაც გამოიყენება ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებენ უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“. ეს ანაცვლებს ბას 39-ის „განცდილი ზარალის მოდელი“. ახალ არეალში მოქცეული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სესხებს და სხვა სავალს ტიპის ფინანსურ აქტივებს შეფასებულს ამორტიზებულ ხარჯად და FVOCI, სავაჭრო მოთხოვნები, სახელმწიფოებო აქტივები აღიარებული და შეფასებული ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულება და ფინანსური გარანტიის ხელმწიფოებები (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამოიყენა ხდება:

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (ფაზა1), და
- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (ფაზა 2)
- ფაზა 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელმწიფოებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვლისწინებს პოტენციურ ვალდებულებების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საფინანსო იჯარის ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები აღიარებულია თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით, წმინდა გაცემის ღირებულებით, რომლებიც დაკავშირებულია სესხებთან. სამართლიან და ნომინალურ ღირებულებებს შორის სხვაობა აღიარებულია მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის აღება ხდება მესაკუთრისგან. ამ შემთხვევაში განსხვავება სამართლიან და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების ოდენობა განისაზღვრება ამორტიზირებული ღირებულებით ნებისმიერი სხვაობა ღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალში, პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები დაკავშირებულია სესხებთან არის ფინანსური ხარჯის ნაწილი, გარდა ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია შესყიდვასთან, საკვალიფიკაციო აქტივის კონსტრუქციასთან, რომლებიც კაპიტალიზირდება როგორც აქტივის ნაწილი.

3.8. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

3.9. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.10. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის ახალი წესები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ის კომპანიაზე ვრცელდება და საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც ფაქტიური, ისე პირობითი მოგების განაწილებას, მათ შორის შემდეგს:

- ✓ განაწილებული მოგება;
- ✓ გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- ✓ უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა და/ან ფულადი სახსრების გადაცემა; და
- ✓ საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

განაწილებული მოგების გადასახადი აღიარდება, როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების მომენტში და აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „მოგების გადასახადის“ მუხლში. მიმდინარე საგადასახადო აქტივები

და საგადასახადო ვალდებულებები მიმდინარე და წინა პერიოდებისთვის გამოითვლება, როგორც თანხა, რომლის მიღებასაც მოელიან საგადასახადო უწყებისგან ან მოელიან მისთვის გადახდას.

გადასახადი, რომელიც დაეკისრება სფეროებს, გარდა განაწილებული მოგებისა, ზემოთ აღწერილის მსგავსად, აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „სხვა საოპერაციო ხარჯის“ მუხლში.

შეცვლილი საგადასახადო კონცეფციის გამო, ტერმინი „აქტივების და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა“ კარგავს მნიშვნელობას, ხოლო გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები (ბასს (IAS) 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად) აღარ მოქმედებს ახალი კორპორატიული დაბეგვრის მოდელის ფარგლებში.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ფინანსური და საგადასახადო ბასის საფუძველზე არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება აღარ წარმოიქმნება 2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში და არაა წარმოდგენილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.11. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს 5 საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

შპს ოკეანე

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	მანქანა დანადგარები და აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა, ავჯი და დანადგარები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
თვითღრებულება						
2019 წლის 1 იანვარი	1,876,924	69,982	131,192	399,287	27,654	2,505,039
შემოსვლა	479,992	3,363	6,098	-	848	490,301
გასვლა	(26,162)	-	-	-	-	(26,162)
2019 წლის 31 დეკემბერი	2,330,754	73,345	137,290	399,287	28,502	2,969,178
შემოსვლა	112,989	2,548	11,578	35,478	7,520	170,113
გასვლა	(94,356)	-	-	(258,350)	(136)	(352,842)
2020 წლის 31 დეკემბერი	2,349,387	75,893	148,868	176,415	35,886	2,786,449
დაგროვილი ცვეთა						
2019 წლის 1 იანვარი	(1,162,839)	(42,857)	(37,120)	(261,420)	(16,504)	(1,520,740)
წლის ცვეთა	(189,026)	(6,673)	(19,484)	(33,766)	(3,149)	(252,098)
გასვლის შედეგად კორექტირება	12,547	-	-	-	-	12,547
2019 წლის 31 დეკემბერი	(1,339,318)	(49,530)	(56,604)	(295,186)	(19,653)	(1,760,291)
წლის ცვეთა	(184,252)	(5,986)	(20,124)	(22,472)	(3,427)	(236,261)
გასვლის შედეგად კორექტირება	87,195	-	-	222,393	112	309,700
2020 წლის 31 დეკემბერი	(1,436,375)	(55,516)	(76,728)	(95,265)	(22,968)	(1,686,852)
საბალანსო ღირებულება						
2019 წლის 1 იანვარი	714,085	27,125	94,072	137,867	11,150	984,299
2019 წლის 31 დეკემბერი	991,436	23,815	80,686	104,101	8,849	1,208,887
2020 წლის 31 დეკემბერი	913,012	20,377	72,140	81,150	12,918	1,099,597

კომპანიის ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებით 1,014,539 ლარი გამოყენებულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სესხების უზრუნველყოფისთვის (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,119,352 ლარი).

ცვეთის ხარჯი დარიცხული იქნა შემდეგნაირად:

ლარი	2020 წელი	2019 წელი
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება (შენიშვნა 15)	(206,834)	(219,476)
ადმინისტრაციული ხარჯები (შენიშვნა 16)	(29,427)	(32,622)
	<u>(236,261)</u>	<u>(252,098)</u>

5. აქტივების გამოყენების უფლება

ლარი	შენიშვნები	სულ
თვითღირებულება		
2019 წლის 1 იანვარი	-	-
შემოსვლა	543,143	543,143
გასვლა	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	543,143	543,143
შემოსვლა	227,509	227,509
გასვლა	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	770,652	770,652
დაგროვილი ცვეთა		
2019 წლის 1 იანვარი	-	-
წლის ცვეთა	(106,468)	(106,468)
2019 წლის 31 დეკემბერი	(106,468)	(106,468)
წლის ცვეთა	(156,240)	(156,240)
2020 წლის 31 დეკემბერი	(262,708)	(262,708)
საბალანსო ღირებულება		
2019 წლის 1 იანვარი	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	436,675	436,675
2020 წლის 31 დეკემბერი	507,944	507,944

69,065 ლარის ამორტიზაციის ხარჯები დაერიცხა ადმინისტრაციულ ხარჯებს წრფივი მეთოდით (იხ. შენიშვნა 16).

ამორტიზაციის ხარჯი, რომელიც შეადგენდა 87,175 ლარს, დაერიცხა რეალიზებული პროდუქტის ღირებულებას (იხილეთ შენიშვნა 15).

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
თვითღრებულება		
2019 წლის 1 იანვარი	14,520	14,520
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	14,520	14,520
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	14,520	14,520
დაგროვილი ცვეთა		
2019 წლის 1 იანვარი	(5,492)	(5,492)
წლის ცვეთა	(1,058)	(1,058)
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	(6,550)	(6,550)
წლის ცვეთა	(840)	(840)
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	(7,390)	(7,390)
საბალანსო ღირებულება		
2019 წლის 1 იანვარი	9,028	9,028
2019 წლის 31 დეკემბერი	7,970	7,970
2020 წლის 31 დეკემბერი	7,130	7,130

ამორტიზაციის ხარჯი დარიცხული იქნა ადმინისტრაციულ ხარჯებში. (იხ. შენიშვნა 16)

7. მარაგები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	01-იან-2019
ნედლეული	1,410,256	2,077,804	1,468,892
საქონელი	78,999	43,943	85,122
მზა პროდუქცია	66,830	130,983	47,554
დაუმთავრებელი წარმოება	43,309	67,595	126,408
საქონელი	100,381	85,547	1,149,444
	1,699,775	2,405,872	2,877,420

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	01-იან-19
სავაჭრო მოთხოვნები	1,863,338	2,129,335	2,913,046
სხვა მოთხოვნები	67,788	255,538	319,029
	1,931,126	2,384,873	3,232,075
საკრედიტო ზარალის რეზერვი	(97,053)	-	-
	1,834,073	2,384,873	3,232,075

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად. მოთხოვნების დაფარვის ვადა შეადგენს 30-90 დღეს. სავაჭრო მოთხოვნებზე არ ხდება პროცენტის დარიცხვა. კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არ ყოფილა 365 დღეს ვადაგადაცილებული. კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუქმნია ანარიცხი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, ვინაიდან არ ყოფილა გაუფასურების მაჩვენებელი, ან რაიმე სხვა გარემოება რაც ეჭვს გამოიწვევდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების დაბრუნებასთან დაკავშირებით.

9. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ლარი	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	01-იან-19
ფული ხელზე	61	62	610
საბანკო ანგარიშები	9,525	2,125	4,720
	9,586	2,187	5,330

ფულადი სახსრების ყველა ანგარიში დენომინირებულია ლარში.

10. კაპიტალი და რეზერვები

საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. არსებული წესდება სრულად გადახდილია. საწესდებო კაპიტალი შეიძლება გაიზარდოს აქციონერების გადაწყვეტილებით.

აქციონერთა საერთო კრებას უფლება აქვს განაცხადოს დივიდენდები კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი იყო 307,200 ლარი.

11. სესხები

ლარი	მიმდინარე			გრძელვადიანი		
	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	01-იან-2019	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	01-იან-2019
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	3,234,053	3,640,055	3,569,412	271,410	231,832	56,665
სესხები მოკავშირე მხარეებისგან	13,938	12,823	500,482	550,000	550,000	-
	3,247,991	3,652,878	4,069,894	821,410	781,832	56,665

კომპანიას აქვს აღებული თიბისი ბანკისგან სესხები 1-5 წლამდე ლარში დენომინირებული (4%/4.5% +რეფინანსირების განაკვეთი), ევროში 6.5%+ 6 Month EURIBOR.

კომპანიას აქვს დაკავშირებულ მხარესგან მიღებული სესხი 12.5%.

კომპანიას საბანკო სესხები მიღებული აქვს საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების პირობებში. საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის მარაგებით, მოთხოვნებით და მოძრავი ქონებით.

12. იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	01-იან-2019
მიმდინარე	(161,943)	(108,271)	-
გრძელვადიანი	(401,876)	(362,562)	-
	(563,819)	(470,833)	-

კომპანიას აქვს იჯარით აღებული შენობები. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვალებადი საიჯარო გადასახადები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორიცაა საიჯარო გადასახადები, დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ მონაწილეობენ საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის თავდაპირველ შეფასებაში. კომპანია ახდენს თავისი აქტივების გამოყენების უფლების კლასიფიკაციას ძირითადი საშუალებების მსგავსად. (იხ. შენიშვნა 5)

თითოეული იჯარა აწესებს ზოგად შეზღუდვას, რომ თუკი კომპანიას ხელშეკრულებით არ აქვს აქტივის ქვეიჯარით გაცემის უფლება, აქტივის გამოყენება შეუძლია მხოლოდ კომპანიას. იჯარა ან

მპს ოქვანე

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

არაგაუქმებადია, ან მისი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ შეწყვეტის საფასურის გადახდის შემთხვევაში. ზოგიერთი იჯარა შეიცავს იჯარის ვადის გაგრძელების უფლებას.

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია დაკავშირებული აქტივებით. მომავალი საიჯარო გადახდები უახლოეს პერიოდში, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

აქტივების გამოყენების უფლება	იჯარით აღებული აქტივების რაოდენობა	დარჩენი- ლი ვადის დიაპაზონი	საშუალო დარჩენი- ლი იჯარის ვადა	იჯარების რაოდენობა შეძენის უფლებით	იჯარების რაოდენობა შეწყვეტის უფლებით
შენობები	5	12-36 თვე	36	5	5

მომავალი მინიმალური საიჯარო გადახდები 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგნაირია:

ლარი	მინიმალური საიჯარო გადახდები	
	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ერთ წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	214,728	155,174
ფინანსური ხარჯები	(52,785)	(46,903)
	161,943	108,271
2-5 წლამდე პერიოდში		
საიჯარო გადახდები	451,914	427,956
ფინანსური ხარჯები	(50,038)	(65,394)
	401,876	362,562
ხუთი წლის შემდეგ		
საიჯარო გადახდები	-	-
ფინანსური ხარჯები	-	-
	-	-
წმინდა დღევანდელი ღირებულება	563,819	470,833

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად

კომპანიამ გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვიანი ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარებისთვის. ამგვარ საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

ხარჯები, დაკავშირებული ისეთ საიჯარო გადახდებთან, რომლებიც არ ჩაირთვება საიჯარო ვალდებულებებში, შემდეგია:

ლარი	2020 წელი	2019 წელი
მოკლევადიანი იჯარა	(52,686)	(94,148)
დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარა	-	-
	(52,686)	(94,148)

დამატებითი ინფორმაცია აქტივების გამოყენების უფლების შესახებ იხილეთ შენიშვნა 5-ში.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	01-იან-2019
სავაჭრო ვალდებულებები	479,880	811,054	2,257,351
საგადასახადო ვალდებულება	110,057	40,582	116,071
ვალდებულება პერსონალის მიმართ	79,247	9,060	71,285
სხვა	-	440	464
	669,184	861,136	2,445,171

14. შემოსავლები

ლარი	2020 წელი	2019 წელი
მზა პროდუქციის რეალიზაცია	9,454,615	11,736,838
სხვა შემოსავალი	6,585	14,237
	9,461,200	11,751,075

15. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	2020 წელი	2019 წელი
პირდაპირი მასალები	(6,785,061)	(8,465,404)
თანამშრომელთა კომპენსაციის ხარჯი	(634,231)	(452,391)
ცვეთის ხარჯი	(206,834)	(303,950)
კომუნალური ხარჯი	(143,643)	(120,882)
დამატებითი მასალები	(18,625)	(77,446)
შეკეთებისა და კეთილმოწყობის ხარჯები	(28,826)	(20,271)
იჯარის ხარჯები	(87,175)	-
ტრანსპორტის ხარჯები	-	(2,548)
სხვა	(42,404)	(87,911)
	(7,946,799)	(9,530,803)

16. ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2020 წელი	2019 წელი
მარაგების ჩამოწერის ზარალი	(425,418)	(430,149)
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები	(403,799)	(406,027)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	(179,720)	(178,819)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(99,333)	(55,674)
საოფისე ხარჯები	(11,653)	(12,869)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	(11,542)	(10,966)
კომუნალური ხარჯები	(2,624)	(3,362)
იჯარის ხარჯი	(52,686)	(94,148)
სხვა	(37,061)	(34,063)
	(1,223,836)	(1,226,077)

17. დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები

ლარი	2020 წელი	2019 წელი
თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები	(113,640)	(151,073)
დისტრიბუციის ხარჯები	(104,300)	(153,126)
	(217,940)	(304,199)

18. ფინანსური ხარჯები

ლარი	2020 წელი	2019 წელი
საპროცენტო ხარჯები სესხებზე ფინანსური ინსტიტუტებიდან	(412,612)	(371,031)
საპროცენტო ხარჯები საიჯარო გარიგებებზე	(68,451)	(55,177)
	(481,063)	(426,208)

19. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

ლარი	2020 წელი	2019 წელი
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	(21,863)	(943)
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით	(383,933)	(98,378)
	(405,796)	(99,321)

20. შემდგომი მოვლენები

კომპანია აწარმოებს და მომხმარებელს სთავაზობს თევზეულის მრავალფეროვან ასორტიმენტს ქართულ ბაზარზე, რის გამოც, ხელმძღვანელობის აზრით, ბიზნეს სექტორში შეფერხებები მინიმალურია. ამ დრომდე ნედლეულის მიწოდება სათანადოა და მოთხოვნაც კომპანიის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე სტაბილური.

საანგარიშგებო წლის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში ადგილი არ ჰქონია.

21. მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

21.1. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანიის შეფასებებს და დაშვებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროების მნიშვნელოვან რისკს, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობას შეფასებული აქვს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალი

კომპანია აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისგან.

21.2. ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

არსებობს ზოგადი განუსაზღვრელობა COVID 19-ის მომავალი გავრცელების შესახებ, მაგრამ ინდუსტრიის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელშიც კომპანია ოპერირებს, ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპით, არ დგას რისკის ქვეშ. ხელმძღვანელობის აზრით, საკვები პროდუქტების წარმოება და მიწოდება არის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი და გადამწყვეტი ბიზნესის კატეგორია, რომელიც ყველაზე ცუდი სცენარის განვითარების შემთხვევაშიც კი განაგრძობს მუშაობას და საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერილი იქნება მთავრობის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ დედა და შვილობილი კომპანიები, საოპერაციო დონეებზე დრამატული ცვლილებების გარეშე განაგრძობენ საოპერაციო მოქმედებებს მომავალში, აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

22. ფინანსური ინსტრუმენტები

22.1. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3.7-ში.

22.2. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები თითოეული კატეგორიისთვის წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური აქტივები

ლარი	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	01-იან-2019
ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებებით			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,931,126	2,384,873	3,232,075
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	9,586	2,187	5,330
სულ ფინანსური აქტივები	1,940,712	2,387,060	3,237,405

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	01-იან-2019
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებებით			
სესხები	4,069,401	4,434,710	4,126,558
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	669,184	861,136	2,445,171
საიჯარო ვალდებულებები	563,819	470,833	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,302,404	5,766,679	6,571,729

23. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად წარმოიშობა კომპანიის სესხებიდან, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენებია თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

2020 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	59,715	-
სულ ფინანსური აქტივები	59,715	-
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	-	291,858
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,420	169,043
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,420	460,901
წმინდა პოზიცია	56,295	460,901

მპს ოქვანე

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2019 წლის 31 დეკემბერი	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	35,210	214,127
სულ ფინანსური აქტივები	35,210	214,127
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	-	423,684
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	148,378	99,856
სულ ფინანსური ვალდებულებები	148,378	523,540
წმინდა პოზიცია	(113,168)	(309,413)

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15%-იანი (2019: 20%) კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 20% (2019: 20%) არის ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ მუხლებს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 20%-იანი (2019: 20%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან და ევროსთან მიმართებაში 20%-ით (2019: 20%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2020	2019	2020	2019
მოგება/ზარალი	12,743	36,857	92,223	147,534

სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკის სიდიდე, წლის განმავლობაში დამოკიდებულია საზღვარგარეთ განხორციელებული ოპერაციების მოცულობაზე. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს კომპანიის სავალუტო რისკთან მიმართებით კავშირს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენილია როგორც მცურავი, ასევე ფიქსირებული განაკვეთით. კომპანიის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის სესხების თანაფარდობით.

შემდეგი ცხრილი მოიცავს საშუალო კონტრაქტის და ეფექტური პროცენტის განაკვეთს:

2020	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი სესხები სხვა კომპანიებიდან		
ლარი	12.1%	13.0%
დოლარი	0.0%	0.0%
ევრო	7.0%	6.8%
2019	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი სესხები სხვა კომპანიებიდან		
ლარი	10.0%	10.7%
დოლარი	9.0%	9.3%
ევრო	7.5%	7.2%

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო. მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

შპს ოქანე

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	31-დეკ-2020	31-დეკ-2019	01-იან-19
ფინანსური აქტივები საბალანსო ღირებულებით:			
მოთხოვნები	1,931,126	2,384,873	3,232,075
ფული საბანკო ანგარიშებზე	9,525	2,125	4,720
	1,940,651	2,386,998	3,236,795

გ) ლიკვიდურობის რისკი

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური საიჯარო ვალდებულება	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
31-დეკ-2019					
საშუალო შეწონილი (%)		10.11%	8.83%	9.07%	9.34%
6 თვეზე ნაკლები	819,758	75,167	1,037,735	-	1,932,660
6 თვიდან 1 წლამდე	52,481	75,167	2,539,969	-	2,667,617
1-5 წლამდე	-	428,327	307,008	550,000	1,285,335
5 წელზე მეტი	-	-	-	-	-
	872,239	578,661	3,884,712	550,000	5,885,612
31-დეკ-2020					
საშუალო შეწონილი (%)		11.16%	11.23%	13.11%	11.83%
6 თვეზე ნაკლები	669,184	105,266	2 926 672	48,031	3,749,153
6 თვიდან 1 წლამდე	-	105,266	465,494	34,658	605,418
1-5 წლამდე	-	456,111	298,055	604,812	1,358,978
5 წელზე მეტი	-	-	-	-	-
	669,184	666,643	3,690,221	687,501	5,713,549

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვალდამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივარებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულად ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

24. კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და დამფუძნებლებსაც ადეკვატური უკუგება აჩვენოს.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება საწესდებო კაპიტალის, აკუმულირებულ მოგებისა და სესხებისაგან, რომლებიც წარდგენილია შენიშვნა 11-ში.

კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აფასებს თავისი კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს მაღალი ლევერიჯი. ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს

კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს მფლობელებს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, არის შემდეგი:

ლარი	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მთლიანი კაპიტალი	(144,300)	679,785
გამოკლებული: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	(9,586)	(2,187)
კაპიტალი	(153,886)	677,598
მთლიანი კაპიტალი	(144,300)	679,785
სესხები	4,069,401	4,434,710
სრული ფინანსირება	3,925,101	5,114,495
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	(0.04)	0.13

25. გაუთვალისწინებელი გარემოებები

25.1. ბიზნეს გარემო

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლებაა ცენტალიზებული ეკონომიკური სტრუქტურას, რეგიონალურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე.

Covid-19 პანდემიის გამო, იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გამოიწვია ფულადი გზავნილების შემცირება საზღვარგარეთიდან. მომავალში სამთო პროდუქტებზე საერთაშორისო ფასების შემცირებამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების შესაძლო მოზიდვასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობებმა, ინფლაციამ, ქართული ვალუტის მნიშვნელოვანმა დამოკიდებულებამ ამერიკულ დოლარზე და საქართველოს მთავრობის მიერ COVID 19-ის საპასუხოდ მიღებულმა გამკაცრებულმა ზომებმა, შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. მიუხედავად იმისა, რომ ეს განუსაზღვრელობა მოიცავს მრავალ დაშვებებს და ვარაუდებს, ხელმძღვანელობას არ შეუძლია კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე გავლენის შეფასება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

25.2. დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას ამ ეტაპზე სრულად არ აქვს დაზღვეული ძირითადი საშუალებები, ბიზნეს საქმიანობა და მესამე მხარის პასუხისმგებლობა საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებრივი და გარემოსგან მიყენებული ზიანისგან. ვიდრე კომპანია არ უზრუნველყოფს დაზღვევის შესაბამის დონეს რისკია, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

25.3. გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან კანონით დაარსებულ ჯარიმები და საურავები.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა, შესაძლოა, რომ სახელმწიფო საგადასახადო

ორგანოებმა ზოგიერთ საკითხზე განსხვავებული განმარტები გააკეთონ, რა შემთხვევაშიც ეფექტი კომპანიაზე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

25.4. გარემოს დაცვა

საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული კომპანიის საქმიანობასთან. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები.

26. ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

	გრძელვადი ანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
2019 წლის 1 იანვარი	56,665	4,069,894	543,143	4,669,702
ფულადი ნაკადების მოძრაობა				
სესხის აღება	449,155	14,301,967	227,508	14,978,630
სესხის დაფარვა	(57,786)	(14,471,688)	(127,488)	(14,656,962)
გადახდილი პროცენტი	-	(350,147)	-	(350,147)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა				
დარიცხული პროცენტი	-	371,031	55,177	426,208
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	61,952	3,668	-	65,621
რეკლასიფიკაცია	271,846	(271,846)	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	781,832	3,652,878	698,340	5,133,051
ფულადი ნაკადების მოძრაობა				
სესხის აღება	200,000	12,828,054	-	13,028,054
სესხის დაფარვა	-	(13,648,201)	(146,420)	(13,794,620)
გადახდილი პროცენტი	-	(427,858)	(56,553)	(484,411)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა				
დარიცხული პროცენტი	-	424,492	68,451	492,943
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	41,821	216,383	-	258,204
რეკლასიფიკაცია	(202,243)	202,243	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	821,410	3,247,991	563,819	4,633,220

27. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი დამფუძნებლები, კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ და ძირითადი ხელმძღვანელობა.

27.1. საკონტროლო ურთიერთობები

შპს “ოკეანე“-ს 100%-ის წილის მფლობელი არის სააქართველოში დაფუძნებული და დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოება ნიკორა.

27.2. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ბალანსები:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარესთან	2020 წელი	2019 წელი
მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	(34,403)	(2,454)
მარაგების რეალიზაცია	7,588,208	8,138,956
მომსახურების გაწევა	5,580	12,030
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	68,675	104,486
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	5,475	-
მარაგების შესყიდვა	221,201	918,615

ბალანსები დაკავშირებულ მხარესთან	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,075,532	1,339,963
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(62,298)	(182,394)
სესხები	(550,000)	(550,000)

27.3. გარიგებები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ხელმძღვანელი პირის - დირექტორის ანაზღაურებამ შეადგინა ქვემოთ მოცემული ოდენობა:

ლარი	2020 წელი	2019 წელი
გაცემული ხელფასები და ბონუსები	120,000	120,000